დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 18 აპრილი**

დისციპლინური საქმე №73/23
მოსამართლეების - -- --, -- --, -- --, -- -- და -- --,
ყოფილი მოსამართლეების - -- --, -- --და -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე
უარის თქმის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2023 წლის 7 აპრილს მოსამართლეების - -- --, -- --, -- --, -- -- და -- --, ყოფილი მოსამართლეების - -- --, -- --და -- -- მიმართ მიღებულია -- -- №73 საჩივარი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა ამოიწურა, ხოლო ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია, რადგანაც დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება განუხორციელებელია. ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოებისათვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში.

ხანდაზმულობის ვადები დისციპლინურ სამართალწარმოებაში გამოიყენება მხოლოდ საჩივრის წარდგენასთან მიმართებით. საჩივრის წარდგენის შემდეგ თავად სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ხანდაზმულობის ვადით არ არის შეზღუდული, რადგან ხანდაზმულობის ვადის დენა საჩივრის წარდგენით წყდება.

ხანდაზმულობის ვადა რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, კერძოდ, ის უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობას, იცავს პოტენციურ მოპასუხეებს დროულად განუცხადებელი საჩივრებისგან, რომელთა განხილვის შემთხვევაშიც რთული იქნებოდა სამართლიანობის დადგენა, ვინაიდან სასამართლოებს მოუწევდათ გადაწყვეტილების მიღება იმ მოვლენების ირგვლივ, რომელთაც შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი ... (Stubbings and Others v. the United Kingdom, §51). ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის

გარემოებების სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი, სადავოდ ხდის მოსამართლეთა (მათ შორის ყოფილ მოსამართლეთა) მიერ 2007-2008 წლებში განხორციელებულ ქმედებებს, რომლიდანაც გასულია 3 წელზე მეტი.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- წლის -- №-- გადაწყვეტილებით -- --, 2009 -- №-- გადაწყვეტილებით -- --, ხოლო 2016 -- №-- გადაწყვეტილებით -- -- გათავისუფლდნენ მოსამართლის თანამდებობიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით. ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მოსამართლეების - -- --, -- --, -- --, -- -- და -- --, ყოფილი მოსამართლეების - -- --, -- --და -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე -- -- ეთქვას უარი.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი